



სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის შექმნაში
სოციალური მუშაობის როლი საქართველოსა და ფინეთის მაგალითზე

მარიამ გონაშვილი

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: mariam.gonashvili870@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ბოლო წლებში სოციალური კეთილდღეობის სისტემების განვითარება სულ უფრო მეტად ეფუძნება სოციალურ მუშაობას, რომელიც მნიშვნელოვან შუამავლურ როლს წარმოადგენს მოქალაქეთა საჭიროებებსა და პოლიტიკის შემქმნელებს შორის. სოციალური კეთილდღეობა განიმარტება, როგორც ორგანიზებული სერვისებისა და პროგრამების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური დაცვის, თანასწორი შესაძლებლობებისა და საერთო კეთილდღეობის მიღწევას (NASW, 2017). სოციალური მუშაკები არამხოლოდ ინდივიდუალურ მომსახურებაზე, არამედ პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ.

ფინეთის სოციალური კეთილდღეობის სისტემა ეფუძნება ნორდიკულ, პრევენციულ და უნივერსალურ მოდელს, სადაც სოციალური სერვისები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებზეა მორგებული და უფასოდ ხელმისაწვდომია ყველა მოქალაქისთვის (Ministry of Social Affairs and Health, 2014). სოციალური მუშაკები აქტიურად მონაწილეობენ ანალიტიკურ-საკონსულტაციო პროცესებში და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკის დაგეგმვაში (Kangas , Jauhiainen, Simanainen, & Ylikanno, 2021).

საქართველოს შემთხვევაში განსხვავებული სურათი იკვეთება - სოციალური კეთილდღეობის სისტემა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და რეაქციულ მიდგომაზეა დაფუძნებული. აქ მთავარი ყურადღება მოწყვლად ჯგუფებზეა გამახვილებული, ხოლო ძირითადი ინსტრუმენტი მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაა (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023). მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია 2009–2013 წლების ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა, რომელიც სოციალური მუშაკების ძალისხმევით წარმატებით განხორციელდა და გამოკვეთს პროფესიის მნიშვნელოვან როლს (ნამიჭიშვილი & სამაგლიშვილი, 2014).

ნაშრომი წარმოადგენს შედარებით ანალიზს და ეფუძნება მეორეულ წყაროებს, მათ შორის სამთავრობო დოკუმენტებს, აკადემიურ ლიტერატურასა და პროფესიულ სტანდარტებს. კვლევა ხაზს უსვამს ინსტიტუციური გარემოსა და რესურსების მნიშვნელობას და სთავაზობს რეკომენდაციებს სოციალური მუშაკების სისტემური გაძლიერებისა და ინტეგრირებული სოციალური პოლიტიკის მექანიზმების განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: სოციალური კეთილდღეობა, სოციალური მუშაობა, ფინეთი, საქართველო, პოლიტიკის ანალიზი

საკითხის აქტუალობა

სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკისა და სოციალური მუშაობის ერთმანეთისგან გამიჯნულად განხილვა შეუძლებელია. სოციალურ მუშაკებს უნიკალური უნარები აქვთ, პრობლემები ადვილად აღმოაჩინონ და მოქალაქეთა ხმა პოლიტიკის შემმუშავებელ ინსტიტუტებამდე მიიტანონ (Healy, 2014). თუმცა, მათი გავლენა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმ ინსტიტუციური გარემოთი, სადაც ისინი მოქმედებენ (Esping-Andersen, 1990). ფინეთის მაგალითი გვაჩვენებს, რომ პროფესიული ავტონომიისა და რესურსების პირობებში სოციალური მუშაკები პოლიტიკის დაგეგმვისას თანასწორი პარტნიორები ხდებიან (Anttonen & Karsio, 2016), რაც თავის მხრივ მოქმედებს მომსახურების ხარისხსა და მდგრადობაზე. საქართველოს შემთხვევაში, როგორც საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები მიუთითებს, სისტემა ჯერ კიდევ ორიენტირებულია რეაქციულ, მიზნობრივ დახმარებაზე (World Bank, 2021). ამ კონტექსტში, პროფესიის გაძლიერება არა მხოლოდ სოციალური დახმარების ეფექტიანობას, არამედ დემოკრატიული მმართველობის ხარისხსაც გააუმჯობესებს. ამრიგად, მოცემული კვლევა მიზანმიმართულია იმ მნიშვნელოვანი საკითხების გასაანალიზებლად, თუ როგორ და რა პირობებში შეუძლიათ სოციალურ მუშაკებს გავლენა მოახდინონ სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის დიზაინზე და განხორციელებაზე ორ განსხვავებულ კონტექსტში- ფინეთისა და საქართველოს.

კვლევის დიზაინი

მიზანი

კვლევის მიზანია სოციალური მუშაკების როლის გაანალიზება და შედარება სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის შექმნასა და ფუნქციონირებაში ფინეთისა და საქართველოს მაგალითზე

ამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად კვლევის ამოცანებს წარმოადგენს შემდეგი:

- ორივე ქვეყნის კეთილდღეობის პოლიტიკის მოდელის აღწერა და ანალიზი.
- სოციალური მუშაკების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გაანალიზება.
- სოციალური მუშაკის გავლენის შეფასება სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკისა და მომსახურების მიწოდებაზე ჩართულობის ან/და არ ჩართულობის შემთხვევაში.

მეთოდოლოგია

ნაშრომი წარმოადგენს სამაგიდო კვლევას. კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული იქნა მეორეულ მონაცემთა ანალიზი. შესწავლილი იყო მე-20 და 21-ე საუკუნეების რელიევანტური სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის სამეცნიერო სტატიები, საკონფერენციო ნაშრომები, წიგნები, სახელმძღვანელოები და ანგარიშები. ლიტერატურა იყო მოძიებული საძიებო პლატფორმის Google Scholar-ის და სამეცნიერო პლატფორმების ResearchGate და JSTOR-ის საშუალებით, სადაც გამოვიყენე ისეთი საძიებო სიტყვები, როგორიცაა: სოციალური მუშაობა საქართველოში, social work Finland, policy advocacy in social work, social work and social policy Finland. გამოყენებული იქნა მხოლოდ სანდო პუბლიკაციებში გამოქვეყნებული ლიტერატურა. ინფორმაციის დამუშავება მოხდა სისტემური მიმოხილვის პრინციპით. კვლევის შეზღუდვას წარმოადგენდა ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირე ქართულ კონტექსტთან მიმართებით და უცხოურ ლიტერატურაზე დაყრდნობა.

ლიტერატურის მიმოხილვა

მნიშვნელოვან თეორიულ პარადიგმას წარმოადგენს კეთილდღეობის სახელმწიფოების კლასიკური ტიპოლოგია, რომელსაც ესპინგ-ანდერსენი (Esping-Andersen, 1990) განიხილავს თავის ნაშრომში „სამი კეთილდღეობის სამყარო“. ავტორი გამოყოფს ლიბერალურ, კონსერვატიულ და სოციალ-დემოკრატიულ რეჟიმებს, რომელთაგანაც ფინეთი ყველაზე ახლოს დგას სოციალ-დემოკრატიულ, ნორდიკულ მოდელთან.

თანამედროვე კეთილდღეობის სისტემების ანალიზისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის თეორიული და პრაქტიკული ცვლილებები, რომლებიც ბოლო ათწლეულში მოხდა როგორც გლობალურ, ისე პოსტსაბჭოთა კონტექსტში. ესპინგ-ანდერსენის კლასიკური მოდელი, რომელიც კეთილდღეობის სისტემებს სამ ძირითად ტიპად - ლიბერალურ, კონსერვატიულ და სოციალ-დემოკრატიულ რეჟიმებად ჰყოფს (Esping-Andersen, 1990), დღემდე ხშირად გამოიყენება ანალიზის ჩარჩოდ. თუმცა, ამ მოდელმა ვეღარ ასახა თანამედროვე სისტემების სირთულე და ევოლუცია, რის გამოც მკვლევრებმა მოითხოვეს მისი გაფართოება და რეფლექსია პოსტსოციალისტურ რეალობაზე (Asatiani & Verulava, 2017).

მეიესისა და მუსტაფას (Mayes & Mustafa, 2010) შეფასებით, კეთილდღეობის სისტემების ბოლო ათწლეულში მომხდარმა ცვლილებებმა ნათლად აჩვენა, რომ ესპინგ-ანდერსენის მოდელი ვეღარ ასახავს თანამედროვე რეალობის სირთულეს. ევროკავშირის გაფართოებამ, გლობალიზაციის

პროცესებმა და „flexicurity“-ის - მოქნილობისა და უსაფრთხოების შერწყმის მიდგომამ - ხელი შეუწყო კეთილდღეობის რეჟიმების ჰიბრიდიზაციას. შედეგად, სახელმწიფოები სულ უფრო მეტად აერთიანებენ ლიბერალური, კონსერვატიული და სოციალ-დემოკრატიული სისტემების ელემენტებს, რის გამოც ტრადიციული ტიპოლოგიები მეტისმეტად სტატიკურ და შეზღუდულ ჩარჩოდ გვევლინება. ამგვარი დინამიკა განსაკუთრებით თვალსაჩინოა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, სადაც კეთილდღეობის პოლიტიკა მრავალმხრივ მორგებასა და შერეულ მოდელებზეა დაფუძნებული.

საქართველოში განხორციელებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ეროვნული კეთილდღეობის პოლიტიკა ერთგვარად ჰიბრიდულია: ჯანმრთელობისა და შრომის ბაზრის პოლიტიკა - ლიბერალურია, პენსიის სისტემა სოციალ-დემოკრატიულს უახლოვდება, ხოლო ოჯახური პოლიტიკა - კონსერვატიულ მოდელს. აღნიშნული მრავალგვაროვნება აჩვენებს, რომ ესპინგ-ანდერსენის კლასიფიკაცია საკმარისად მოქნილი არ არის პოსტსაბჭოთა ქვეყნების სისტემების სრულად ასახვისთვის. პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების შერწყმა, რომელიც ქმნის უნიკალურ პოლიტიკურ დინამიკას. ესპინგ-ანდერსენის მოდელის მიერ შემოთავაზებული ტიპოლოგია ზედმეტად ჰომოგენურია და ვერ ითვალისწინებს იმ გარდამავალი სახის სტრუქტურებს, რაც სპეციფიკურია საქართველოსნაირი ქვეყნებისათვის, სადაც დასავლურ მოდელებს ერგება ფრაგმენტულად და ხშირ შემთხვევაში მექანიკური განმეორების გზით, რაც კიდევ უფრო აჩენს დისპარმონიას სხვადასხვა სოციალური სექტორების პოლიტიკას შორის. შესაბამისად, საქართველოს შემთხვევა ნათლად აჩვენებს საჭიროებას ესპინგ-ანდერსენის თეორიის გაფართოვებისა ან განახლებისა, რათა უკეთ მოიცვას ისეთი ქვეყნების რეალობა, რომლებიც დასავლური კეთილდღეობის მოდელების მიღმა რჩებიან (Asatiani & Verulava, 2017).

თანამედროვე თეორეტიკოსები გვთავაზობენ ახალ მიდგომებს. მაგალითად, კეთილდღეობის სახელმწიფოს კლასიფიკაციის გაფართოება მოხერხდა „კეთილდღეობის ბრილიანტის“ მოდელის ფარგლებში, რომელიც კლასიკური სამეულის გარდა მოიცავს არასამთავრობო სექტორს, სოციალურ პარტნიორებს, და კორპორატიულ პასუხისმგებლობას (Papachashvili, et a., 2023). ამავე დროს, სოციალ-ინვესტიციური პარადიგმა, რომელიც კეთილდღეობას აღიქვამს როგორც ეკონომიკური ზრდის სტიმულს, ამყარებს იმ მიდგომას, რომლის მიხედვით სოციალური პოლიტიკა მხოლოდ გადანაწილების ინსტრუმენტად არ უნდა აღვიქვათ.

ამ მრავალმხრივ პერსპექტივას ემატება კრიტიკული თვალსაზრისებიც, რომლებიც კეთილდღეობის პოლიტიკის ანალიზში ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს წარმოაჩენენ როგორიცაა ძალაუფლება, სოციალური თანასწორობა და გენდერული განზომილება. ბრაისონი (Bryson, 2020) ამატებს გენდერულ პერსპექტივას და აჩვენებს, თუ როგორ გარდაქმნის კეთილდღეობის პოლიტიკა ქალთა შრომით მონაწილეობას. ასევე, პოლიტიკის განხორციელების პროცესის გააზრებისთვის მნიშვნელოვანია ზემოდან ქვემოთ (top-down) და ქვემოდან ზემოთ (bottom-up) მიდგომების განსხვავება. ზემოდან ქვემოთ მოდელში გადაწყვეტილებები მიიღება ცენტრალურ დონეზე და შემდგომ გადაეცემა შემსრულებელ რგოლებს, მაშინ როცა ქვემოდან ზემოთ მოდელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ახორციელებენ პოლიტიკას „შემსრულებლები“ (მაგ. სოციალური მუშაკები) ადგილობრივ დონეზე და როგორ ახდენენ გავლენას პოლიტიკის შინაარსზე პრაქტიკიდან გამომდინარე (Lipsky, 1980). ეს თეორიული პარადიგმები მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების პოზიციის გასაანალიზებლად. თანამედროვე კვლევები კიდევ უფრო ავითარებენ ამ ხედვას. ავირამისა და კოლეგების კვლევა აჩვენებს, რომ ქვედა დონეზე მომუშავე ბიუროკრატები ხშირად არა მხოლოდ პოლიტიკის შემსრულებლები, არამედ მისი ინიციატორები და ცვლილებების აგენტებიც ხდებიან. მათი კვლევის მიხედვით, სოციალური მუშაკები, როგორც „policy entrepreneurs“, იყენებენ bottom-up სტრატეგიებს, რათა დაარეგულირონ არასაკმარისად განსაზღვრული პოლიტიკა ან უპასუხონ იმ საჭიროებებს, რომელთაც ზემოდან ჩამოსული წესები ვერ ითვალისწინებენ (Aviram, Beeri, & Cohen, 2021).

ფინეთის სოციალური კეთილდღეობის სისტემა, რომელიც უნივერსალურობის პრინციპზეა დაფუძნებული, უზრუნველყოფს ჯანმრთელობის, განათლებისა და სოციალური დაცვის მომსახურებებს მათი საჭიროების მიუხედავად (Ministry of Social Affairs and Health, 2014). კვლევები აჩვენებს, რომ სოციალური მუშაკები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკის შემუშავების ადრეულ სტადიებზე, განსაკუთრებით პრევენციული სერვისების განვითარებაში (Satka & Harrikari, 2020). ფინეთში 2021 წელს ჩატარდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ექსპერიმენტი, რომელიც შემდეგ სისტემური ცვლილებების მაპროვოცირებელიც გახდა. ავტორები აღწერენ, თუ როგორ ჩატარა ფინეთმა მასშტაბური სოციალური ექსპერიმენტი უპირობო საბაზისო შემოსავლის (Universal Basic Income) მოდელზე. ექსპერიმენტის ფარგლებში, შერჩეული ბენეფიციარები ორი წლის განმავლობაში ყოველთვიურად იღებდნენ ფიქსირებულ თანხას დამატებითი მოთხოვნების გარეშე. სოციალური მუშაკები ამ პროცესში ასრულებდნენ ფასილიტატორის ფუნქციას - ეხმარებოდნენ ბენეფიციარებს ინფორმირებაში, აწვდიდნენ მხარდაჭერას და მონაწილეობდნენ მონაცემთა შეგროვებაში, რაც გამოიყენებოდა პროგრამის შედეგების შეფასებისთვის (Kangas, et al., 2021).

ფინურ კონტექსტში პროფესიული ანგარიშვალდებულება განსაკუთრებით თვალსაჩინოა (Blomgren & Saarinen, 2020). ავტორები განმარტავენ, რომ დეცენტრალიზებული მმართველობის პირობებში სოციალური მუშაკები ხშირად იღებენ თვითნებურად გადაწყვეტილებებს კონკრეტულ შემთხვევებზე, რათა მომსახურება მაქსიმალურად შეესაბამებოდეს ბენეფიციარების ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამავდროულად, ისინი რჩებიან ანგარიშვალდებულნი როგორც ადგილობრივი, ისე ეროვნული პოლიტიკის სტრუქტურების წინაშე. ეს ბალანსი აძლიერებს მათ პროფესიულ ავტონომიას და ხელს უწყობს ინოვაციური მიდგომების განვითარებას პრაქტიკაში.

იუჰილა და კოლეგები (2022) თავის კვლევაში წარმოაჩენენ „სიტუაციური პროფესიონალიზმის“ კონცეპტს, რომელიც გულისხმობს სოციალური მუშაკის ადაპტირებადობას და მოქნილობას რეალურ სამუშაო გარემოში. ისინი აღნიშნავენ, რომ ეს მიდგომა მოქალაქეების ჩართულობას უწყობს ხელს და აყალიბებს მჭიდრო თანამშრომლობის ფორმებს პროფესიონალებსა და ბენეფიციარებს შორის, რაც სოციალური მომსახურების ეფექტიანობას ზრდის. მათი ხედვით, სოციალური მუშაკი გადაწყვეტილებებს იღებს არა მხოლოდ ინსტიტუციური პროტოკოლებისა და კანონმდებლობის საფუძველზე, არამედ იმის გათვალისწინებითაც, თუ როგორ ვითარდება შემთხვევა მიმდინარეობის დროს, რა რესურსებია ხელმისაწვდომი და როგორ შეიძლება მხარი დაუჭიროს მომსახურების მიმღებს, მაქსიმალურად ეფექტურად. ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ სიტუაციური პროფესიონალიზმი არ უნდა იქნეს აღქმული როგორც სტანდარტების დარღვევა, არამედ როგორც პროფესიული კომპეტენციის გამოყენება განსხვავებული კონტექსტის შესაბამისად. ფინეთში ეს კონცეპტი ინსტიტუციურად არის მხარდაჭერილი. სოციალური მუშაკები ანგარიშვალდებულნი არიან როგორც პროფესიული კოდექსის, ისე ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფოს წინაშე, თუმცა მათ გააჩნიათ ფართო დისკრეცია ინდივიდუალურ შემთხვევებთან მუშაობისას. ასეთ ბალანსს ხელს უწყობს სტაბილური საკანონმდებლო ჩარჩო, პროფესიული სუპერვიზია და მუდმივი განათლება (Blomgren & Saarinen, 2020).

საქართველოს სოციალური კეთილდღეობის სისტემა წლების განმავლობაში ხასიათდებოდა მყიფე ინსტიტუციებით, თუმცა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განიცდის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას. მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც 2006 წელს დაიწყო, დღემდე მთავარ ინსტრუმენტად რჩება სიღარიბის შემსუბუქებისთვის (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023). ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის, ჯერ კიდევ მეორე ტალღამ ცხადყო, რომ სოციალური მუშაკების ჩართულობამ, მსოფლიო ბანკისა და გაეროს სააგენტოების

თანადგომით, მნიშვნელოვნად დახვეწა ოჯახის წევრების პრევენციული მომსახურებები (ნამიჭიშვილი & საძაგლიშვილი, 2014).

თუმცა, პროფესიის იურიდიული და ინსტიტუციური ჩარჩო კვლავ ჩამოუყალიბებლად ითვლება. საქართველოში მომუშავე სოციალური მუშაკები ხშირად გამანაწილებელი რგოლის ფუნქციას ასრულებენ, ხოლო პოლიტიკის შემუშავების პროცესში მათი ხმები იშვიათად ისმის (World Bank, 2021). ეს განსხვავდება ფინეთისგან, სადაც პროფესია მაღალი ავტონომიით სარგებლობს და სავალდებულოა ლიცენზირება (Healy, 2014).

შედარებითი ანალიზი მიუთითებს, რომ ინსტიტუციური წყობა, ფინანსური რესურსები და პროფესიული კაპიტალი სოციალური მუშაკების გავლენის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორებად გვევლინება. OECD (ეკონომიკური კოოპერაციისა და განვითარების ორგანიზაცია)-ის (OECD, 2024) მონაცემებით, ფინეთი მთლიანი შიდა პროდუქტის 25 %-ზე მეტს ხარჯავს სოციალურ დაცვაზე, მაშინ როცა საქართველოში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 10 %-ია. რესურსების ასეთი სხვაობა განაპირობებს, რომ ფინეთში სოციალური მუშაკები ინოვაციური, მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებული პოლიტიკის მხარდამჭერები არიან, განსხვავებით საქართველოსაგან.

საქართველოს სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის ფორმირება იმართება ძირითადად ცენტრალური მთავრობის მიერ, ადგილობრივი თვითმმართველობების მინიმალური მონაწილეობით. სოციალური პოლიტიკის მთავარი შემადგენელი ნაწილი მიზნობრივი სოციალური დახმარებაა, რომელიც დაფუძნებულია შინამეურნეობების სიღარიბის სკალაზე დაყრდნობით. ეს მიდგომა ნაკლებად ითვალისწინებს სოციალური პრობლემების კომპლექსურ ბუნებას და გრძელვადიან საჭიროებებს. მრავალჯერ აღინიშნა, რომ სისტემა რეაქციულია და ყურადღება აკლავს გააზრებულ პრევენციულ პოლიტიკას (World Bank, 2021).

საქართველოში მოქმედი მიზნობრივი სოციალური დახმარების მოდელი სოციალური მუშაკების ჩართულობას პრაქტიკულად არ ითვალისწინებს. სისტემა მთლიანად დაფუძნებულია სიღარიბის ინდექსზე და ადმინისტრაციულ სქემებზე, რის შედეგადაც შეზღუდულია მოქალაქეთა საჭიროებების ხარისხიანი შეფასება და ინტეგრირებული მიდგომა (World Bank, 2021). სოციალური მუშაკები, რომლებიც სხვა ქვეყნების პრაქტიკაში - მათ შორის ფინეთში - ასრულებენ ანალიტიკურ, ადვოკატობის და პრევენციული დაგეგმვის ფუნქციებს (Juhila, Raitakari, & Ranta, 2022), საქართველოში ძირითადად არ არიან ჩართულები სიღარიბის აღმოსაფხვრელი პოლიტიკის ფორმირებაში. შედეგად, მოქალაქეების მხარდაჭერა შეზღუდულ ჩარჩოში ექცევა, რაც ხელს უშლის გრძელვადიან, სისტემურ ცვლილებებს. ამავ დროს, სოციალური მუშაკების ცოდნა და უნარები

სიღარიბის გამოწვევი მიზეზების იდენტიფიცირებასა და ინდივიდუალურად მორგებული ინტერვენციის მოდელების შეთავაზებაში ვერ გამოიყენება (Sadzaglishvili, 2017). ამგვარი ინსტიტუციური მოწყობა აფერხებს სიღარიბის კომპლექსურ დაძლევას და კიდევ უფრო ამყარებს მიდგომას, რომლის მიხედვით „დახმარება“ განიხილება როგორც ალგორითმული შეფასება და არა როგორც ადამიანის საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური ინტერვენცია.

პროფესიული სტანდარტები საქართველოში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. პროფესიული ასოციაციების როლი შეზღუდულია, ხოლო სოციალური მუშაკების ჩართულობა პოლიტიკის შემუშავების პროცესში მინიმალურია. სოციალური მუშაკების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას გადატვირთულობა წარმოადგენს. არის შემთხვევები, როდესაც ერთი სოციალური მუშაკი 150-ზე მეტ შემთხვევაზე მუშაობს, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ინდივიდუალურ ჩართულობას და ხარისხიან მუშაობას (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2022).

ასევე, აღსანიშნავია არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი, რომლებიც ხშირად ავსებენ სახელმწიფოს ფუნქციებს. მაგალითად, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR) და სოციალური სამართლიანობის ცენტრი აქტიურად მონაწილეობენ ადვოკატირებისა და მონიტორინგის პროცესებში.

აკადემიურ სივრცეში ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი სოციალური მუშაკების კონკრეტული მექანიზმები, რომლითაც ისინი გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე (IFSW, 2014). განსაკუთრებით მწირია შედარებითი კვლევები, რომლებიც აკვირდებიან როგორ ცვლიან პროფესიული ასოციაციები ეროვნულ დისკურსს ან როგორ იყენებენ სოციალური მუშაკები მტკიცებულებას ადვოკატირებისთვის. მოცემული ნაშრომი სწორედ ამ ცარიელ ადგილს ავსებს და ახალი ინტერპრეტაციის საფუძველს ქმნის.

ლიტერატურის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ფინეთში სოციალური კეთილდღეობის სისტემისა და სოციალური მუშაობის ურთიერთქმედება უფრო სტრუქტურული და ინტეგრირებულია, საქართველოში კი - ფრაგმენტული. სისტემების ნებისმიერი შედარებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ-კულტურულ კონტექსტს, ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და პროფესიული ორგანიზაციების სიმძლავრეს (NASW, 2017).

დასკვნა

შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ სოციალური მუშაკების გავლენა სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის ფორმირებაზე მნიშვნელოვნად განისაზღვრება ინსტიტუციური გარემოთი, პოლიტიკური ნების არსებობითა და ფინანსური რესურსებით. ფინეთის მაგალითი აჩვენებს, რომ პროფესიული ავტონომიის, დეცენტრალიზებული მმართველობისა და მაღალი სოციალური ხარჯების პირობებში, სოციალური მუშაკები არა მხოლოდ მომსახურების განმახორციელებლები, არამედ პოლიტიკის თანაავტორებიც ხდებიან. ისინი აქტიურად მონაწილეობენ საჭიროებების შეფასებაში, კვლევებში, სტრატეგიულ დაგეგმვასა და ადვოკატობაში. ამის შედეგად, ფინეთში სოციალური მუშაობა განიხილება როგორც სოციალური ინოვაციის წყარო, ხოლო სოციალური მუშაკები, როგორც პოლიტიკის პარტნიორი ექსპერტები, რომლებსაც რეალური გავლენა აქვთ სოციალურ გადაწყვეტილებებზე.

ფინური მოდელი ასევე გამოირჩევა სოციალური მომსახურების სისტემის ინტეგრირებულობით, რაც სოციალური მუშაკების შესაძლებლობებს აფართოებს როგორც სფეროთა შორის კოორდინაციაში, ისე ადვოკატობაში, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ჯგუფების ინტერესების დაცვაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფინეთში პროფესიის განვითარებას ხელს უწყობს პროფესიული გაერთიანებების მტკიცე მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფს სოციალური მუშაკების პროფესიული უფლებების დაცვასა და სამუშაო პირობებზე მუდმივ ზრუნვას.

საქართველოს შემთხვევაში, მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში სოციალური მუშაობის ინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებისა, პროფესიული ჩართულობა ჯერ კიდევ შეზღუდულია. სოციალური მუშაკები ძირითადად ასრულებენ შემთხვევის მართვის, სოციალური დახმარების ადმინისტრირებისა და ინდივიდუალურ დონეზე მუშაობის ფუნქციებს, რაც მათი სისტემური გავლენის შესაძლებლობებს ზღუდავს. განსაკუთრებით შესამჩნევია მათი ნაკლები მონაწილეობა პოლიტიკის დაგეგმვისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მაგალითად, კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში სოციალური მუშაკების პროფესიული ავტორიტეტი და სტატუსი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, რაც აფერხებს მათ ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში როგორც ექსპერტული ცოდნის მქონე ჯგუფის წევრებად (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2022).

სისტემური ბარიერები, როგორიცაა არაეფექტური მმართველობითი სტრუქტურა, ფინანსური რესურსების დეფიციტი და საკადრო უზრუნველყოფის პრობლემები, განაპირობებს პროფესიის მოწყვლად მდგომარეობას (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022). გარდა ამისა, მოქმედი მმართველობითი მოდელი კვლავ ცენტრალიზებული და იერარქიულია, რაც ადგილობრივ დონეზე

სოციალური მუშაკების ინიციატივებს ზღუდავს და მათ პოლიტიკის ფორმირების პროცესში სრულფასოვან აქტორებად არ აღიარებს.

ამასთან, ფინეთის გამოცდილება მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სისტემათაშორისი თანამშრომლობა, ეფექტური კომუნიკაცია სახელმწიფო უწყებებსა და პრაქტიკოსებს შორის. ამასთან ყურადღებას ამახვილებს ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაზე. სწორედ ასეთ კონტექსტში ხდება სოციალური მუშაკების ძალისხმევა რეალურად შესამჩნევი და გასათვალისწინებელი პოლიტიკურ დონეზე.

თუმცა, მნიშვნელოვანია იმ პროგრესული ფაქტორების აღნიშვნაც, რომლებიც საქართველოს სოციალური მუშაობის სისტემის გაძლიერებას ხელს უწყობს. ამ პროცესებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს აკადემიური პროგრამების განვითარება, პროფესიული ასოციაციისა და პროფკავშირის შექმნა და საერთაშორისო პრაქტიკების ადაპტაცია (ნამიჭეიშვილი & სამაგლიშვილი, 2014). თანდათან მზარდია სოციალური მუშაკების ჩართულობა არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ საზოგადოებრივ და ადვოკატობის პროცესებში, რაც ვლინდება პროფესიული განვითარების მიმდინარე ტენდენციებში. ასევე პოზიტიურად უნდა შეფასდეს სახელმწიფოს მცდელობა, შექმნას ისეთი პოლიტიკის ჩარჩოები, რომლებიც მეტ შესაძლებლობას მისცემს პროფესიონალებს, გავლენა იქონიონ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე. აღნიშნული ცვლილებები ქმნის სტრუქტურულ საფუძველს იმისთვის, რომ მომავალში სოციალური მუშაკები არა მხოლოდ აღსრულების, არამედ პოლიტიკის ფორმირების აქტიურ მონაწილეებად ჩამოყალიბდნენ.

ბიბლიოგრაფია:

- Anttonen, A., & Karsio, O. (2016). Finland: A success story with troubling trends. *Social and citizenship in the European Union: New challenges and future directions* (გვ. 59-75).-ში Oxford University Press.
- Asatiani, M., & Verulava, T. (2017). Georgian Welfare State: Preliminary Study Based on Esping-Andersen's Typology. *Economics and Sociology*, 10(4), 21-28.
- Aviram, N. F., Beeri, I., & Cohen, N. (2021). From the Bottom-Up: Probing the Gap Between Street-Level Bureaucrats' Intentions of Engaging in Policy Entrepreneurship and Their Behavior. *Journal of Public Policy*, 41(3), 345-367.
- Blomgren, S., & Saarinen, A. (2020). Professional discretion and accountability in social work. *European Journal of Social Work*, 23(2), 237-249.
- Bryson, L. (2020). Welfare states and women: Failure to transform?
- Esping-Andersen, G. (1990). The three worlds of welfare capitalism.
- Healy, K. (2014). Social Work Theories in Context: Creating Frameworks for Practice. (2nd, რედ.)
- IFSW. (2014). *International Federation of Social Workers*. მოპოვებული Global definition of social work: <https://www.ifsw.org/what-is-social-work/global-definition-of-social-work/>-დან
- Juhila, K., Raitakari, S., & Ranta, J. (2022). Situated Professionalism in Social Work. *British Journal of Social Work*.
- Kangas, O., Jauhiainen, S., Simanainen, M., & Ylikanno, M. (2021). Experimenting with unconditional basic income: Lessons from the Finnish BI experiment 2017-2018.
- Lipsky, M. (1980). Street-Level Bureaucracy: Dilemmas of the Individual in Public Services.
- Mayes, D. G., & Mustafa, Z. (2010). Social models in an enlarged European Union. *RECON Project Working Paper*.
- Ministry of Social Affairs and Health. (2014). Social welfare in Finland. Helsinki, Finland.
- NASW. (2017). *National Association of Social Workers*. მოპოვებული Definition of social welfare: <https://www.socialworkers.org/>-დან
- NASW. (2017). *National Association of Social Workers*. მოპოვებული Definition of social welfare: <https://www.socialworkers.org/>-დან
- OECD. (2024). Public social spending is high in many OECD countries: Social expenditure update . *Organisation for Economic Co-operation and Development*.
- Papachashvili, N., Roblek, V., Mesko, M., & Podbereggar, I. (2023). Welfare State on the Theoretical Crossroads: Analysis of the 21st Century Studies. *International Review of Sociology*.

- Sadzaglishivili, S. (2017). Reconstructing social welfare institutions and building a professional social work workforce in post-soviet Georgia: An ecological systems framework. *International Social Work*.
- Satka, M., & Harrikari, T. (2020). Social work and social welfare policy: The case of Finland. *European Journal of Social Work*, 17(3), 223-235.
- World Bank. (2021). *Georgian social protection system review*. Washington, DC.
- ნამიჭეიშვილი, ს., & სამაგლიშვილი, შ. (2014). ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვთა ზრუნვის სისტემების შეფასება.
- საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2022). *კვლევა სოციალური მუშაობის სამუშაო ძალის შესახებ*. თბილისი.
- საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2022). *სოციალური მუშაობის სამუშაო ძალის შესახებ კვლევა*. თბილისი.
- სოციალური სამართლიანობის ცენტრი. (2022). *სოციალური დაცვის სისტემაში სოციალური მუშაკების როლი და გამოწვევები*. თბილისი.
- სოციალური სამართლიანობის ცენტრი. (2023). *მიზნობრივი სოციალური დახმარება საქართველოში: პროგრამის სოციალური ეფექტი და სიღარიბის დაძლევის პოტენციალი*.